პარასკევი

1თეს 4,1-8; ფს 96; მთ 25,1-13

მაშ, იფხიზლეთ, რადგან არც დღე იცით და არც საათი მთ 25,13

სიფხიზლისა და მღვიძარებისაკენ მოწოდება ასრულებს იმ იგავს, რომლითაც იესო შეეცადა წარედგინა ცათა სასუფევლის რეალობა. მასში იგი წარმოდგება როგორც სიძე, რომელიც მზადაა გასცეს მთელი თავისი სიყვარული და მიგვიწვიოს თავისთან. იგი უღებს კარს მას ვისაც ლამპარი უნთია და ზეთიც საკმარისად აქვს, ანუ, მას ვისაც უყვარს იგი პირადად და ცხოვრებით ამტკიცებს ამ სიყვარულს მისი მოსვლის მოლოდინში.

2017 შაბათი

1თეს 4,9-11; ფს 97; მთ 25,14-30

ღმერთისგან ისწავლეთ ერთურთის სიყვარული 1თეს 4,9

წმიდა პავლე აღიარებს, რომ თესალონიკის საკრებულოს მორწმუნეებმა ისწავლეს ერთურთის სიყვარული ღვთის სიყვარულით და მოუწოდებს მათ, გაიზარდონ ამ სიყვარულში. ხოლო ჩვენ, ჩვენს სამრევლოებში, საკრებულოებსა და ოჯახებში, ვისწავლეთ კი უფლისაგან ერთურთის სიყვარული? განვაგრძოთ მამა ღმერთის სადიდებლად, ანდა ვეძიოთ ვინმე, ვინც გვასწავლის მას.

3 სექტემბერი

2017 კვირა

იერ 20,7-9; ფს 62; რომ 12,1-2; მთ 16,21-27

ვისაც სურს მე გამომყვეს,
უარყოს თავისი თავი მთ 16,24

თუკი მსურს მივყვე იესოს, ჩემი გული მისკენ მივაპყრო, ყური დავუგდო, დავყვე მის ჩანაფიქრს, მუდამ მის ახლოს ვიყო, მმართებს დავივიწყო საკუთარი თავი, უნდა მოვცილდე ჩემს გეგმებს, მუდამ მისკენ უნდა მქონდეს მზერა მიპყრობილი, რომ არ დავკარგო მისი ნაკვალევი და გავითავისო ცხოვრების მისეული წესი. საჭიროა მიყვარდეს იგი ყველაზე და ყოველივეზე მეტად. მოდი, სულო წმიდაო, შემეწიე.

ორშაბათი

1თეს 4,13-18; ფს 95; ლკ 4,16-30

სული უფლისა ჩემზეა ლკ 4,18

აი, იესო ებრაელთა სინაგოგაში კითხულობს ნაწყვეტს ესაია წინასწარმეტყველის წიგნიდან, რომელიც სწორედ მასზეა და გვიცხადებს მის მისიას. ნამდვილად, წმიდა სულია მასში და იგიც მოწმობს ამას გულმოწყალებითა და სიბრძნით სავსე ცხოვრებით. ამის გამო, მრავალი შენატროდა მას, სხვანი კი სდევნიდნენ. მადლობა, იესო, მთელი კაცობრიობის სასიკეთოდ მამისადმი მიძღვნილი შენი სიცოცხლისათვის.

სამშაბათი

1თეს 5,1-6.9-11; ფს 26; ლკ 4,31-37

შეავონეთ ერთმანეთს და აღაშენეთ ერთმანეთი 1თეს 5,11

წმიდა მოციქული პავლე მოგვიწოდებს, ერთმანეთს შევეხიდოთ ოჯახებსა თუ ქრისტიანულ საკრებულოებში, რათა ვიცხოვროთ იესოს მოსაწონად, მუდამ მის სიყვარულში. ვიცხოვრებთ შიშების გარეშე, მუდამ მის წინაშე, მადლიერნი მისი ჩვენთვის მოძღვნილი სიცოცხლისათვის, ნათლისათვის, მშვიდობისათვის.

2017 ოთხშაბათი

კოლ 1,1-8; ფს 51; ლკ 4,38-44

დიდძალი ხალხი ეძებდა მას ლკ 4,12

იესოს სიცოცხლე იქცა იმედის წყაროდ მრავალთათვის, მდაბალთა და საბრალოთათვის. იგი კვლავაც ამგვარი წყაროა მათთვის, ვისაც სწამს იგი. ისინი, ვინც სიყვარულით მიჰყვებიან იესოს, როგორც ყველა წმიდანი, იქცევიან იმედად და საყრდენად მრავალთათვის. მადლობა, აღმდგარო იესო, რომ მუდამ ჩვენთანა ხარ.

7 სექტემბერი

2017 ხუთშაბათი

კოლ 1,9–14; ფს 97; ლკ 5,1–11

მან გვიხსნა სიბნელის ხელმწიფებისაგან კოლ 1,13

მამა ღმერთმა ჩვენ ქრისტიანებს უდიდესი
საჩუქარი მოგვიძღვნა: საკუთარი ძის,
იესო ქრისტეს რწმენა; და გვაძლიერებს და
გვზრდის მასში სარწმუნოების საიდუმლოთა
ნიჭით, განსაკუთრებით აღსარებითა და
ევქარისტიით. ამგვარად შეგვეძლება ვიცხოვროთ
ყოველდღიურად იესოს ნათლითა და სიცოცხლით
და შეგვეძლება გავუწოდოთ ის ყველა შემხვედრს.
მადლობა, მამაო სახიერო და წმიდაო.

8 სექტემბერი

შობა ნეტარი მარადქალწული მარიამისა დ, [ს], თ

2017 პარასკევი

მიქ 5,1–4ა (ან, რომ 8,28–30); ფს 12; მთ 1,1–16.18–23

ვალეს კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ღვთის მოყვარულებს ყოველივე სასიკეთოდ შეეწევათ რომ 8,28

ჩვენმა საერთო დედა მარიამმა ღმერთი შეიყვარა და არჩეულ იქნა მისგან, რათა ყველასათვის მიენიჭებინა მასში განკაცებული იესო. მან მის კვალში იარა მუდამ, სიხარულსა თუ ტანჯვაში, რწმენით, იმედითა და სიყვარულით. შეძლო მიეღო ყველა მდგომარეობა, როგორც ღვთის ნიჭი. მარიამი ჩვენც გვასწავლის იესოს კვალში სიარულს.

9 სექტემბერი

რიგითი XXII კვირა [II] მწ
წმ. პეტრე კლავერი, ხუც., +1654

2017

შაბათი

კოლ 1,21–23; ფს 53; ლკ 6,1–5

რად აკეთებთ შაბათ დღეს იმას, რაც ნებადართული არ არის? ლკ 6,2

ღმერთმა უბრძანა ებრაელებს სიყვარულით წმიდაეყოთ შაბათი დღე. შაბათი იდგა, როცა იესოს დამშეული მოწაფეები გზად კრეფავდნენ ყანებში ხორბლის თავთავებს და ჭამდნენ მარცვლებს. იესო ესარჩლება მათ. ამგვარად აცხადებს მამა ღმერთის გულმოწყალებას შვილებისადმი. თითოეული მცნება ღმერთს მოუცია მათი სიხარულისათვის.

10 სექტემბერი

რიგითი XXIII კვირადღე, «ა», [III], მწ

2017 ვირა

ეზეკ 33,7-9; ფს 94; რომ 13,8-10; მთ 18,15-20

თუ შენი ძმა შესცოდავს შენს წინააღმდეგ, მიდი და ამხილე იგი მთ 18,15

კვირადღეს მივდივართ წმიდა წირვაზე, რათა ვიზეიმოთ იესოს აღდგომა და მივიღოთ მისი სიყვარული. ამიტომ, ვგრძნობთ ჩვენს ძმებზე პასუხისმგებლობას. როდესაც ვხედავთ, რომ მავანი უსამართლოდ გვიტევს, იმის ნაცვლად, რომ მასზე ცუდი ვთქვათ, გამოვეგებოთ მას და შევეცადოთ სხვადასხვა სახით, არა ერთხელ და ორჯერ, მოვურიგდეთ მას მარტონი, ან სხვების დახმარეიბთ, იესოს შემწეობის იმედით. ნეტარნი ვიქნებით, თუკი შეგვისმენს.

11 სექტემბერი

რიგითი XXIII კვირა [III] მწ

2017 ორშაბათი

კოლ 1,24 – 2,3; ფს 61; ლკ 6,6–11

შევიდა სინაგოგაში და დიწყო სწავლება ლკ 6,6

იესო, შენა ხარ ღვთის სიბრძნე, ერთადერთი მოძღვარი. შენ ასწავლი შენი სიტყვით და წმიდათა წმიდა ცხოვრებით. მადლობა, ჩვენს შორის ყოფნისათვის, განსაკუთრებით როცა შენი სახელითა ვართ შეკრებილნი; მადლობა, რომ შეგვიძლია ვისწავლოთ შენგან და შეგვიძლია გჯვრიტოთ შენ ძმებთან ერთად სახარების სმენისას.

სამშაბათი

კოლ 2,6–15; ფს 144; ლკ 6,12–19

როგორც მიიღეთ ქრისტე იესო უფალი, ასევე იარეთ მასში კოლ 2,6

მიღებული მყავს კი იესო უფლად, ანუ არის თუ არა იგი ის, ვისაც მსურს დავემორჩილო? თუკი ამოვიცანი მისი სახიერება და ერთგულება, სიყვარულით დავყვები მას, იმ ძმებთან ერთად, მისი რომ სწამთ. ყოველდღიურად ვცხოვრობ მისდამი პატივის მისაგებად, მადლიერებითა და სიხარულით.

ოთხშაბათი

კოლ 3,1-11; ფს 144; ლკ 6,20-26

მაშ მოაკვდინეთ ის,
რაც მიწას ეკუთვნის კოლ 3,5

განწესებულნი ვართ იესოსთან ერთად ზეცის დიდებისათვის; იმისათვის რომ ეს მოხდეს საჭიროა მივატოვოთ ყოველგვარი ამქვეყნიური ქცევა და შევუდგეთ იესოს, მივატოვოთ სიამე და სიბოროტე, და გულში ჩავიკრათ ჯვარი, მისივე სიტყვისამებრ. თავად შეგვეწევა.

14 სექტემბერი

ჯვართამაღლება, დ, [ს], წ

2017 ხუთშაბათი

რცხ 21,4-9 (ან, ფილიპ 2,6-11); ფს 77; იო 3,13-17

უნწის საკრებულოს დღესასწაული

ისე შეიყვარა ღმერთმა წუთისოფელი, რომ მისცა მას თავისი მხოლოდშობილი ძე იო 3,16

მადლობას გწირავთ მამაო წმიდაო და სახიერო, რომ ისე გიყვარვართ, რომ გვჩუქნი შენს საყვარელ ძეს, შენს თვალის ჩინს. იგია შენი ნეტარება. მას სთხოვე ჩვენთვის მოეცა თავისი სიცოცხლე ჯვარზე სიკვდილით. შეგვეწიე, მივიღოთ იგი, რათა ჩვენც შევძლოთ გადიდოთ და გაკურთხოთ აწ და მარადის.

15 სექტემბერი

2017

რიგითი XXIII კვირა [III]

მგლოვიარე ნეტ. ქალწ. მარიამი (მ), [ს], თ

პარასკევი

ებრ 5,7-9; ფს 30; იო 19,25-27 ან, ლკ 2,33-35

არალში შუა ფარეხის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

შენს სულში მახვილი გაივლის ლკ 2,35

ამ სიტყვებით სიმეონი უწინასწარმეტყველებს ყოვლადწმიდა მარიამს, ტაძრად რომ მისულიყო იოსებთან და ჩვილთან ერთად განწმედის რიტუალისთვის, თუ რად დაუჯდება მას ღვთის ძის გვერდით ცხოვრება. მან, რომელმაც ყველა სხვა ქმნილებაზე მეტად შეიყვარა იგი, სხვაზე მეტად მიიღებს მონაწილეობას მისი ერისაგან ძალადობით უკუგდების ხილვის ტანჯვაში. მისი ტკივილი, რომელიც ჰგავს მისი შვილის ტკივილს, აქცევს მას თანამოღვაწედ წუთისოფლის დახსნაში.

შაბათი

1ტიმ 1,15-17; ფს 112; ლკ 6,43-49

მ. მიხეილ თამარაშვილის მოხსენიება (+1911)

ქრისტე იესო მოვიდა წუთისოფელში ცოდვილთა სახსნელად 1ტიმ 15

წმიდა პავლემ, წუთისოფლად ცოდვილთა სახსნელად მოსული იესოს გულმოწყალების მიღებით დააგემოვნა დახსნის სიხარული. იესომ აავსო იგი სიკეთეებით საკუთარი სიცოცხლის მიძღვნით. ამის გამოა რომ აღავლენს სიხარულის საგალობელს: *„საუკუნეთა მეფეს უხრწნელს, უხილავს და ერთადერთ ღმერთს, პატივი და დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამენ“.*

17 სექტემბერი

2017 ვირა

ზირ 27,30 – 28,7; ფს 102; რომ 14,7-9; მთ 18,21-35

თუკი ჩემი ძმა აშავებს ჩემს წინააღმდეგ, რამდენჯერ უნდა მივუტევო მას? მთ 18,21

პეტრემ მშვენივრად უწყოდა, რომ ძმური ცხოვრება ხშირად განსაცდელს გადის ხოლმე სხვადასხვა კონფლიქტებით. ამიტომაა, რომ მიმართავს იესოს ამ კითხვით. იესოც პასუხობს, რომ მიტევება უნდა გაიცეს უპირობოდ და მუდამ. ამგვარად მას შეუძლია მუდამ იმყოფებოდეს და გამოავლინოს მისი სახელით ერთად ცხოვრების მშვენიერება.

18 სექტემბერი

რიგითი XXIV კვირა [IV] მწ

2017 ორშაბათი

1ტიმ 2,1-8; ფს 27; ლკ 7,1-10

იესო მათთან ერთად დაადგა გზას ლკ 7,6

იესო მუდამ მზადაა თანალმობისათვის, როდესაც მიმართავენ მას მდაბალი და წრფელი გულით. სახარება, რომელსაც ეკლესია გვიკითხავს დღეს, გვიჩვენებს ამას. მაშ სრული სასოებით მივეახლოთ მას, როგორც ასისთავის შიკრიკები, რათა მივიღოთ მადლი და ვპოვოთ გულმოწყალება. მადლობა იესო, რომ ხარ.

19 სექტემბერი

2017

რიგითი XXIV კვირა [IV], მწ
წმ. იანუარიუსი, ეპ. და წამ., +IVს

სამშაბათი

1ტიმ 3,1-13; ფს 100; ლკ 7,11-17

ღმერთმა ინახულა თავისი ერი ლკ 7,16

ხალხი, რომელიც შეესწრო ნაინის ქვრივის შვილის გაცოცხლებას, ამ სიტყვებით გამოხატავს გაოგნებას. თითქოს ამბობს, რომ იესო, კაცი მათ შორის მყოფი, ჭეშმარიტი ღმერთიაო: და ასეცაა! იესო დღესაც იმყოფება თავის ეკლესიაში და გვიცხადებს მამის სიყვარულს: მადლიერნი ვართ მისნი!

20 სექტემბერი

რიგითი XXIV კვირა [IV] წ

წმმ. ანდრეა კიმ ტაეგონის, +1839
პავლე ხონგჰასანგისა +1839 და მეგ., წამ. (მ)

2017 ოთხშაბათი

1ტიმ 3,14-16; ფს 110; ლკ 7,31-35

მიღებულ იქნა სოფელში რწმენით და ამაღლდა დიდებაში 1ტიმ 3,16

წმიდა პავლე საუბრობს იესოზე. მან თავი დაიმდაბლა ჯვარზე სიკვდილამდე, უმიზეზოდ დევნილმა, ახლა კი მამის მარჯვნივ ზის დიდებაში. ჩვენცა ვართ მის მორწმუნეთა რიცხვში და ამისათვის მადლობას ვუძღვნით მას. პატივს მივაგებთ სიყვარულით მორჩილებაში. სულო წმიდაო, მოდი და შეგვეწიე, შევიყვაროთ იესო!

21 სექტემბერი

წმ. მათე,
მოციქული და მახარებელი, დ, [ს], წ

2017 ხუთშაბათი

ეფ 4,1–7.11–13; ფს 18; მთ 9,9–13

წყალობა მსურს და არა მსხვერპლი მთ 9,13

იესო წინასწარმეტყველთა დამოწმებით აცხადებს ღიად, რომ ღმერთთან თანაზიარება ხორციელდება პირველ რიგში ცოდვილთა მიმართ გულმოწყალე განწყობით, და არა ტაძარში შეწირული საკლავით. მადლობა, იესო, რომ მომიხმობ გულმოწყალები-საკენ ცოდვილთა და შორეულთა მიმართ და, რომ მზადა ხარ მიიღო ყველა. მადლობა, რომ მათ, ვინც თავმდაბლობით მოგეახლებიან შენ, აგემებ ღმერთის სიყვარულს.

22 სექტემბერი

რიგითი XXIV კვირა [IV] მწ

2017 პარასკევი

1ტიმ 6,2-12; ფს 48; ლკ 8,1-3

იღვაწე რწმენის კეთილი ღვაწლით 1ტიმ 6,12

თავისი თანამოღვაწე ტიმოთესადმი მიმართული წმიდა პავლეს ეს მოხმობა, სხვა მრავალთან ერთად, გვჭირდება ჩვენც, მეც და შენც და ყველა მორწმუნეს. იმისათვის რომ ვიცხოვროთ იესოს რწმენით, მმართებს მღვიძარება, ლოცვაში გამძლეობა, მისი სიტყვის სმენა გულის ყურით, წინაღობათა და ცდუნებათა დაძლევა, თავმდაბლობითა და ქმედით სიყვარულით ყველას მიმართ.

23 სექტემბერი

რიგითი XXIV კვირა [IV], თ

წმ. პიო პიეტრელჩინელი, ხუც., +1968 (მ)

2017 შაბათი

1ტიმ 6,13–16; ფს 99; ლკ 8,4–15

მარცვალი ღვთის სიტყვაა ლკ 8,11

მადლობა, იესო, იმ სიტყვისათვის, შენ რომ დათესე ჩემს გულში. მადლობა, რომ შემეწიე დამეფასებინა, დამეცვა, მეძებნა, მყვარებოდა და მელოცა ის. მადლობა მოთმინების, სახიერების, შენი მიბაძვის წყურვილის უხვი ნაყოფისათვის, შენმა სიტყვამ რომ მომანიჭა.

ეს 55,6-9; ფს 144; ფილიპ 1,20-24.27; მთ 20,1-16

რად დგასხართ აქ მთელი დღე უქმად? მთ 20,6

ვენახის პატრონი გაკვირვებულია იმით, რომ ნაშუადღევის ხუთ საათზე კვლავაც არიან დაუსაქმებელი მუშები. მან უწყის, რომ ისინი უსაქმურობის გამო არ დგანან იქ, არამედ იმიტომ, რომ არავის აუყვანია ისინი სამუშაოდ. მადლობა, მამაო სახიერო, რომ მეც ჩამრთე შენს ვენახში, მიუხედავად ჩემი ნიჭისა თუ რწმენის ნაკლებობისა. მადლობა, რომ მეც დამაგემოვნებინე შენი სახლის სიხარული.

ორშაბათი

ეზდ 1,1-6; ფს 125; ლკ 8,16-18

დაფუძვირდით, როგორ ისმენთ ლკ 8,18

იესო, მადლობა ამ გაფრთხილებისათვის; შენ გსურს, რომ შენი სიტყვა ბრწყინავდეს ჩვენს ცხოვრებაში, რომ შენი სიბრძნე გამოჩნდეს ჩვენში; შეგვეწიე, რათა ვინც ჩვენ შეგვხვდება, მიიღოს შენი სიყვარულის მოწმობა!

26 სექტემბერი

2017

რიგითი XXV კვირა [I] წ

წმ. დიდმოწამე ქეთევანი, წამ. +1624;
წმმ. კოზმა და დამიანე, წამ. +IVს; ნ. ლუიჯი ტეცა, +1923,
კამილიელ დედათა კონგრეგაციის დამაარსებელი

სამშაბათი

ეზდ 6,7–8.12.14–20; ფს 121; ლკ 8,19–21

მ. გაბრიელ ასლანაშვილის გახსენება (+1930)

ისინი არიან, ვინც ისმენენ ღვთის სიტყვას ლკ 8,21

იესო დღეს გვაძლევს ერთ საზომს იმის გასაგებად,
ვართ თუ არა მისი ნამდვილი ოჯახის წევრები,
მასთან თანაზიარებაში: ვისმენთ კი ღვთის სიტყვას
და ვასხამთ მას ხორცს ჩვენს ცხოვრებაში?
მაშინ ვიქნებით მისი ძმები, დები და დედები.
მადლობა, იესო, ამ ნათლისათვის.

27 სექტემბერი

რიგითი XXV კვირა [I] თ

წმ. ბიკენტი დე პოლი, ხუც., +1660, (მ)

2017 ოთხშაბათი

ეზზდ 9,5-9; საგ.: ტობ 13,2-5; ლკ 9,1-6

მისცა მათ ხელმწიფება ყველა ეშმაკზე ლკ 9,1

მრავალ ქრისტიანს უჭირს ეშმაკის არსებობის დაჯერება. ურიგო ნიშანი როდია, ეს ნიშნავს, რომ მათ არ ჰქონიათ მისი პირდაპირი გამოცდილება; ცუდი ნიშანიცაა: როგორცა ჩანს ჯერაც არ უსწავლიათ ღმერთის ნამოქმედარის გარჩევა მტრის ნამოქმედარისაგან.

ეკლესიამ მიიღო და აკისრია ძალზე მნიშვნელოვანი, ძვირფასი და რთული დავალება: გაათავისუფლოს მორწმუნეები იმისი ძალაუფლებისაგან, ვისაც სურს მათი გაყოფა და განადგურება.

28 სექტემბერი

რიგითი XXV კვირა [I] მწ

წმ. ვიჩესლავი, წამ. +935;
წმმ. ლავრენტი რუის და მეგ., წამ. +1633-35;
(15.IX) წმ. იოსებ ალავერდელი, IVს.

2017 ხუთშაბათი

ანგ 1,1–8; ფს 149; ლკ 9,7–9

მოვიწონებ და დიდებით გამოვჩნდები ანგ 1,8

ამ სიტყვებით უფალი მოგვიწოდებს ერთობლივად
თანავიღვაწოთ, წმიდანთა დარად, ეკლესიის
აღსაშენებლად, ისე, რომ მოეწონოს მას იგი
და გამოავლინოს მასში თავისი სიყვარული.
სულო წმიდაო, შეგვეწიე!

29 სექტემბერი

2017

წმმ. მიქაელ, გაბრიელ და რაფაელ
მთავარანგელოსნი, დ, [ს], თ

პარასკევი

დან 7,9-10.13-14 (ან, გამოცხ 12,7-12); ფს 137; იო 1,47-51

ამაზე მეტსაც იხილავ იო 1,50

იესო თავისი ნამოქმედარით როდი ტრაბახობს, არც სასწაულებით, არც თავისი სიბრძნით. იგი შურიანი როდია, ხარობს, როდესაც ეკლესია კვლავაც გასცემს ღვთის სიყვარულსა და დაამოწმებს მას, ნიშნებითა და სასწაულებით. თავად მიუძღვის მას თავისი სიახლოვით. მთავარანგელოზნი არიან ნიშანი და ძღვენი, რომლითაც მამა თან ახლავს თავის შვილებს როგორც მოწმეების (მიქაელი), მაუწყებლებს (გაბრიელი), ქმედითი სიყვარულის მსახურებს (რაფაელი)!

შაბათი

ზაქ 2,5-9.14-15; საგ.: იერ 31,10-12.13; ლკ 9,43-45

იგი შენს წიაღში მკვიდრობს ზაქ 2,15

ზაქარიას წინასწარმეტყველება, ყველა ხალხებში მიმოფანტულ ღვთის შვილთა შესაკრებად მამისაგან მოვლენილ იესოს ეხება. ისინი, ვისაც სწამთ ღვთის ძე, შექმნიან მის ახალ ერს, ეკლესიას, და იგი იმკვიდრებს მუდამ მასში, რათა წარუძღვეს და შეეწიოს მას.